ლაბორატორიაში ნიმუშების ჩაბარების წესი

MF_7.4_C
V. 01 / 01.02.2023

საფუძველი: *(საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების (№2-82, 19.02.2018) -* ***„ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელისა და ყურძნისეული წარმოშობის სპირტის სერტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ“***

1) ნიმუშის აღების აქტი თან უნდა ახლდეს ნებისმიერ ნიმუშს, როგორც ადგილობრივი, ასევე საექსპორტო ბაზრისთვის *(აქტის ფორმა იხ. დანართში).*

2) ჩასაბარებელი ნიმუშების რაოდენობა თითოეული ლოტიდან

2.1. ადგილობრივი ბაზრის შემთხვევაში

#	სასმელის კატეგორია	ბოთლის მოცულობა	ბოთლის რაოდენობა	დეგუსტაციის საჭიროება
1	**ადგილწამოშობის დასახელების ღვინო** *ჩამოსასხმელი სახით რეალიზაცია დაუშვეველია*	**0.75** ლ	**5** ცალი	**კი**
2	**სხვა კატეგორიის ღვინო**	**0.75** ლ	**2** ცალი	არა
3	**ბრენდი, ჭაჭა, მაგარი სასმელი**	**0.5** ლ	**2** ცალი	არა
4	**ჩამოსახმელი ღვინო** *ნიმუში აიღება ყველა ფენიდან, თანაბარი პორციებით და შემდგომ ერთიანდება*	**0.75** ლ	**1** ცალი	არა

2.1. ექსპორტის შემთხვევაში

#	სასმელის კატეგორია	ბოთლის მოცულობა	ბოთლის რაოდენობა
1	**ღვინო, ნებისმიერი კატეგორიის,** *თუ ექვემდებარება დეგუსტაციას* *	**0.75** ლ	**6** ცალი
		< 0.75 ლ	იმდენი, რომ იყოს არანაკლებ **4.5** ლ
2	**ბრენდი, ჭაჭა, მაგარი სასმელი**	**0.5** ლ	**3** ცალი
		< 0.5 ლ	იმდენი, რომ იყოს არანაკლებ **2** ლ

* **დეგუსტაციას არ ექვემდებარება** ნიმუში, თუ:

- ✓ მწარმოებელს აქვს მცირე მარნის სტატუსი (წლიური წარმადობა 40 000 ლ-მდე ღვინო);
- ✓ ერთი ლოტის ქვეშ ბოთლების რაოდენობა 3 000-მდეა;
- ✓ საერთო გოგირდოვანი მჟავის (SO2) შემცველობა < 40 მგ/ლ.

3) ნიმუშების მომზადება ლაბორატორიაში ჩასაბარებლად

- ✓ სერტიფიცირებისთვის ნიმუშის აღებას, დალუქვას და ნიმუშის აღების პროცედურას დოკუმენტირებას (ნიმუშის აქტის გაფორმებას) ახორციელებს დამკვეთი, რომელიც პასუხისმგებელია ნიმუშის აღების კეთილსინდისიერად განხორცილებაზე;

- ✓ **კონკრეტული ლოტიდან აღებული ნიმუში უნდა:**
  - იყოს ეტიკეტირებული;
  - მითითებული ჰქონდეს ლოტის ნომერი და ჩამოსხმის თარიღი;
  - იყოს დალუქული კომპანიის ბეჭდით ან ხელმოწერით.

- ✓ **თუ ეტიკეტები ჯერ არ არის დაბეჭდილი,** შესაძლებელია, რომ კომპანიამ ნიმუში თავად გააფორმოს, კერძოდ დააწეროს ყველა საჭირო ინფორმაცია, ხელი მოაწეროს და დალუქოს კომპანიის ბეჭდით.
  ასეთ „თვითნაკეთ“ ეტიკეტზე დასატანი აუცილებელი ინფორმაციაა:
  - კომპანიის დასახელება;
  - ნიმუშის დასახლეება;
  - ნიმუშის კატეგორია;
  - მოსავლის წელი;
  - ლოტის ნომერი;
  - ჩამოსხმის თარიღი;

!!! გაითვალისწინეთ !!!

ლაბორატორია არ ჩაიბარებს საანალიზო ნიმუშებს, თუ ნიმუშზე დატანილი ინფორმაცია არ იქნება შესაბამისობაში „ნიმუშის აღების აქტთან“